ნინო ხანთაძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქუთაისი, საქართველო
Nino.khantadze@atsu.edu.ge
https://doi.org/10.52340/lac.2025.10.67

აქტივობები მეხსიერების გავარჯიშებისა და ყურადღების კონცენტრაციისთვის სკოლამდელი და უმცროსი სასკოლო ასაკისთვის

სკოლამდელი და უმცროსი სასკოლო ასაკი ბავშვის განვითარების ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპია. ამ ასაკში ბავშვები შეიცნობენ სამყაროს, პოულობენ საკუთარ თავს, გამოიმუშავებენ სხვადასხვა უნარებს. თავის ტვინის 90%-ის გააქტიურება სწორედ ამ პერიოდში ხდება. ტვინის აქტივობა გონების აქტივობის საფუძველია, გონების ხშირი ვარჯიში კი დამახსოვრების უნარს აუმჯობესებს. ტვინის წვრთნა დაფუძნებულია ყურადღების ფუნქციათა და მეხსიერების განვითარებისთვის განკუთვნილ აქტივობებზე. მეხსიერება მუდმივ ვარჯიშს საჭიროებს, ამიტომ აუცილებელია, სასწავლო პროცესი გავამრავალფეროვნოთ ყურადღების, მეხსიერების, აზროვნების, თავის ტვინის ნახევარსფეროების, ურთიერთქმედების განმავითარებელი აქტივობებით.

ბავშვის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია სასწავლო და სააზროვნო უნარებზე ზრუნვა, რომელიც მოიცავს მეხსიერების გავარჯიშებას და ყურადღების კონცენტრირებას, რაც გულისხმობს: ბავშვს შეუძლია ყურადღება შეაჩეროს და შეინარჩუნოს გარკვეული დროის განმავლობაში კონკრეტულ ამოცანაზე, მაშინაც კი თუ გარკვეული დაბრკოლება წარმოიქმნა.

აღმზრდელმა ან მასწავლებელმა სხვა უამრავ სამუშაოსთან ერთად აუცილებელია, იზრუნოს ბავშვების მეხსიერების გავარჯიშებაზე და ყურადღების კონცენტრაციის უნარის ჩამოყალიბებაზე, რადგან კარგი მეხსიერება ბავშვს გახდის უფრო თავდაჯერებულს და დამოუკიდებელს.

ყველაზე ეფექტური გზა მეხსიერების გასაუმჯობესებლად შემეცნებაა. ასევე გამოცდილი მეთოდია, ისეთი გონებრივი სავარჯიშოების კეთება, რომლებიც მოითხოვს ფიქრს და ყურადღების კონცენტრაციას, რომლის გარეშეც შეუძლებელი იქნება ნებისმიერი აქტივობის სრულფასოვნად შესრულება. შესაბამისად, ყველა აქტივობა რომელსაც ჩვენ ბავშვების მეხსიერების გასაუჯობესებლად ვგეგმავთ, მოითხოვს ყურადღებას და პარალელურად ავითარებს და ხელს უწყობს ყურადღების კონცენტრაციას.

მეხსიერება არის ხანგრძლივი და ასევე მუშა მეხსიერება, რომელიც ბავშვს ყოველდღიურ ცხოვრებაში პატარ-პატარა მიზნების მისაღწევად სჭირდება. მუშა მეხსიერებაში ინფორმაცია 5-დან 20- წამამდე ჩერდება და ის მნიშვნელოვან როლს ასრულებს ადამიანის ყოველდღიურობაში. მის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა წინადადების ბოლოს იმის გახსენება, თუ რა წაიკითხე წინადადების დასაწყისში. მუშა მეხსიერება საჭიროებს მუდმივ ვარჯიშს, მის გაუმჯობესებაში დიდ როლს ასრულებს რუტინა. მუშა მეხსიერების გავარჯიშებისათვის ეფექტურია მუდმივი გამეორება,

მაგალითად ციფრების თანმიმდევრობით რამდენიმეჯერ გამეორება გონებაში, ასევე სიტყვების. მეორე გზაა დაკავშირება, ახალგაცნობილის სახელის დამახსოვრება გამარტივდება, თუ მას დააკავშირებ ნაცნობის სახელთან, რომელიც უკვე ხანგრძლივ მეხსიერებაშია. მუშა მეხსიერების განვითარებისათვის ეფექტურია აქტივობა - „მეხსიერების ცხრილი" - მასწავლებელი ბავშვებს დაუსახელებს 5-დან 10 სიტყვამდე, გაუმეორებს რამდენჯერმე, ასევე კარგი იქნება თუ ამ სიტყვების შესაბამის სურათებსაც ვაჩვენებთ, შემდეგ 2 წუთით გადაატანინებს ყურადღებას სხვა თემაზე. დროის გასვლის შემდეგ თხოვს გაიხსენოს დასახელებული სიტყვები იმავე თანმიმდევრობით, რა თანამიმდევრობითაც მასწავლებელმა დაასახელა. რაც უფრო მეტ სიტყვას დაასახელებენ და თანმიმდერობაც დაცული იქნება უკეთესია, თუმცა მასწავლებელმა უნდა აუხსნას, რომ შეცდომის დაშვებამ არ უნდა შეაშინოთ.

მეხსიერების გავარჯიშებისა და ყურადღების კონცენტრაციისთვის საუკეთესოა მოსმენა და მოსმენილზე მსჯელობა. მნიშვნელოვანია, შეირჩეს საინტერესო, მცირე ზომის, მარტივი და ასაკის შესაბამისი ზღაპრები, მოთხრობები, იგავ-არაკები, ლექსები. ასევე კარგია ენის გასატეხები, ანდაზები, გამოცანები.

აქტივობა - „კითხვის დრო" - შერჩეულ მოთხრობას, ზღაპარს ან იგავ-არაკს უკითხავს მასწავლებელი. კითხვის დაწყებამდე თხოვს ბავშვებს, ყურადღებით მოუსმინონ, რადგან ბოლოს უნდა იმსჯელონ წაკითხულზე. კითხვის დასრულების შემდეგ მასწავლებელმა უნდა კითხოს ბავშვებს, ხომ არ სურს ვინმეს გადმოსცეს მოსმენილის შინაარსი. ასეთის არსებობის შემთხვევაში უსმენენ მთხრობელს დანარჩენი ბავშვები, სურვილის ან საჭიროების შემთხვევაში შეუძლიათ დაეხმარონ. მთავარია ეს ხდებოდეს ხალისით და ძალდატანების გარეშე. მასწავლებელი უნდა ცდილობდეს, ყველა ბავშვში გააღვიძოს ინტერესი და გააქტიუროს ისინი. მისცეს ყველას საშუალება აქტივობაში ჩაერთოს. ბოლოს გაუზიარონ ერთმანეთს შთაბეჭდილებები წაკითხულის შესახებ. მასწავლებელმა უნდა დასვას კითხვები - რა მოეწონათ? რომელი პერსონაჟის საქციელი მოეწონათ, რომლის არა? და ა.შ.

აქტივობა - „გადმოეცი მოსმენილი ინფორმაცია" - მასწავლებელი აწყვილებს ბავშვებს და სთხოვს, წყვილის წევრებმა ერთმანეთს მოუყვნენ ერთი საინტერესო, დასამახსოვრებელი ამბავი თავისი ცხოვრებიდან. ბავშვებმა ყურადღებით უნდა მოუსმინონ ერთმანეთს, რათა შემდეგ მეწყვილის მონაყოლი გადასცენ სხვა ბავშვებს. ამ ტიპის აქტივობები მათ გაუვარჯიშებთ მეხსიერებას, ისწავლიან აქტიურ მოსმენას, მოსმენილი ინფორმაციის გადმოცემას, აზრის გამოხატვას, განუვითარდებათ ყურადღება.

აზროვნებისა და ყურადღების გავარჯიშებისათვის აღმზრდელ-პედაგოგმა ხშირად უნდა გამოიყენოს გამოცანები. ბავშვებს მისცეს ინსტრუქცია ყურადღებით მოისმინონ და ხელის აწევით ანიშნონ, რომ სწორი პასუხი იციან. პირველი პასუხის უფლება ექნება, ვინც პირველი აწევს ხელს და სწორი პასუხის შემთხვევაში გამარჯვებულიც ისაა. ყურადღება უნდა მიექცეს ყველა ბავშვის ჩართულობას.

ენის გასატეხების ხშირი გამეორება მნიშვნელოვანია მეხსიერებისა და მეტყველების განვითარებისათვის. მასწავლებელი უკითხავს ბავშვებს რამდენიმეჯერ ენის გასატეხს და სთხოვს, ყურადღებით მოისმინონ, რათა მოსმენის შემდეგ შეძლონ რიგის მიხედვით, სწრაფად წარმოთქვას თითეულმა მოსმენილი ენის გასატეხი. ასევეა ანდაზების შემთხვევაში. აღმზრდელი დასვამს ბავშვებს მოხერხებულად და წაუკითხავს ანდაზას რამდენიმეჯერ, შემდეგ თხოვს მათ მოსმენილის გამეორებას.

აქტივობა - „დაიმახსოვრე ნივთები" აუჯობესებს დამახსოვრების უნარს, ასევე მოითხოვს ყურადღების კონცენტრაციას და ანვითარებს მას. მასწავლებელი მაგიდაზე დააწყობს სხვადასხვა ნივთებს, რომელთა თანმიმდევრობა და რაოდენობა უნდა დაიმახსოვროს ბავშვმა, რათა შემდეგ შეძლოს დამალული, გადაადგილებული ან შეცვლილი ნივთის ამოცნობა. ბავშვი დახუჭავს თვალებს, მასწავლებელი პირველ ჯერზე ადგილს შეუცვლის ნივთებს, აღსაზრდელმა უნდა დააწყოს საგნები პირვანდელი თანმიმდევრობით. შემდეგ ჯერზე მასწავლებელი შეცვლის რომელიმე ნივთს სხვა ნივთით და ბავშვმა უნდა ამოიცნოს რომელი ნივთი აკლია და რომელია ზედმეტი. შემდეგი ნაბიჯია დამალული ნივთის ამოცნობა. უნდა დაასახელოს ნივთი, რომელიც მაგიდაზე აღარ დევს. მრავალფეროვნებისათვის შეიძლება გამოყენებული იქნეს გეომეტრიული ფიგურები, ხილი, ბოსტნეული და ა.შ.

აქტივობა - „დააკვირდი მეგობარს" - აღმზრდელ-პედაგოგი ყოფს აღსაზრდელებს ორ გუნდად და აყენებს მწკრივში ერთმანეთის პირისპირ. ერთი გუნდის წევრები აკვირდებიან მის წინ მდგომ ბავშვებს და იმახსოვრებენ რა აცვიათ, როგორ აქვთ თმა, რა თანმიმდევრობით დგანან, შემდეგ ხუჭავენ თვალებს. მეორე გუნდის ბავშვები იცვლიან ადგილებს, ვარცხნილობას ან ტანსაცმელს (ფეხსაცმელს უცვლიან ერთმანეთს) და თვალის გახელის შემდეგ ეს ცვლილება უნდა იპოვოს მოწინააღმდეგე გუნდმა.

აქტივობა - „რა დგას ოთახში" - აღმზრდელი ბავშვებს თხოვს კარგად დააკვირდნენ ოთახს და ნივთებს, რომლებიც იქ აწყვია, შემდეგ დახუჭონ თვალები და გაიხსენონ რა დგას ოთახში, აღწერონ რომელ მხარეს რომელი ნივთია, რამდენი და ა.შ. შეიძლება ამავე აქტივობის დროს ნივთები დავმალოთ ან ადგილი შევუცვალოთ ოთახში და ბავშვებს ვთხოვოთ იპოვონ ცვლილება.

ყურადღებისა და მეხსიერების განვითარებისათვის ეფექტურია აქტივობები, სადაც ხელები ერთდროულად, შეთანხმებულად მუშაობენ, რადგან ამ დროს ტვინის ორივე ნახევარსფერო გააქტიურებულია და ხდება მათ შორის ინფორმაციის გაცვლა, ეს კი ხელს უწყობს მეხსიერების გაუმჯობესებას, ყურადღების კონცენტრაციას, კრეატიულობას, დაეხმარება ბავშვს მომავალში რთული ამოცანების გადაჭრაში.

აქტივობა - „ვხატოთ ორივე ხელით" - ვაძლევთ ბავშვებს დიდი ზომის ფურცლებს, ორივე ხელში ფანქარს და მივცემთ ინსტრუქციას ორივე ხელით დახატონ ერთდროულად ორი ერთნაირი ფიგურა, მაგალითად: წრე, მართკუთხედი, სამკუთხედი და ა.შ. უმცროს ასაკობრივ ჯგუფში უფრო გავამარტივოთ და ფურცელზე უკვე დახატული გვქონდეს ორი ერთნაირი ფიგურა მაგ. რკალი, ზიგზაგები და ა.შ. ბავშვმა ერთდროულად უნდა გააყოლოს ორივე ხელი ფანქარი სხვადასხვა მხარეს დახატულ ფიგურებს. თუ უფრო გართულება გვინდა, დავხატოთ ერთ ფურცელზე ორი სხვადასხვა ფიგურა და მივცეთ ინსტრუქცია, ფანქრით ან თითის მოძრაობით, ორივე ხელით ერთდროულად გაიმეორონ დახატული კონტურები.

აქტივობა - „დავეხმაროთ ბურთებს იპოვონ თავისი სახლი" - ორი ფერის პატარა ბურთებს (მაგ: წითელი და მწვანე) დავაწყობთ მაგიდაზე და იქვე დავდებთ იმავე ფერების ორ ყუთს. ვაძლევთ ინსტრუქციას, დავეხმაროთ ბურთებს დაბრუნდნენ თავისი ფერის ყუთში, რომელიც მისი სახლია, ამისთვის ბავშვმა უნდა აიღოს ერთი ხელით წითელი და მეორე ხელით მწვანე ბურთი ერთდროულად და ჩააწყოს შესაბამისი ფერის ყუთში, ასე გააგრძელებენ მანამ, სანამ არ ჩაალაგებს ყველა ბურთს.

აქტივობა - „გავიმეოროთ მოძრაობები" - მასწავლებელი ბავშვებს აყენებს წრეში, აძლევთ ინსტრუქციას, გაიმეორონ ყველა ის მოძრაობა, რასაც თვითონ გააკეთებს და იწყებს შემდეგ მოძრაობებს: ჯერ მარჯვენა ხელის იდაყვს შეახებს მარცხენა ფეხის მუხლს, შემდეგ მარცხენა ხელის იდაყვს მარჯვენა ფეხის მუხლს. მარცხენა ხელით ეხება მარჯვენა ყურს და ამავე დროს მარჯვენა ხელით ცხვირს, შემდეგ მარჯვენა ხელით ეხება მარცხენა ყურს და ამავე დროს მარცხენა ხელით ცხვირს. მარცხენა ხელით ეხება მარჯვენა ქუსლს, შემდეგ მარჯვენათი მარცხენას და ა.შ.

მეხსიერების და ყურადღების გასავარჯიშებელი აქტივობები კარგია მუსიკის თანხლებით შესრულდეს.

აქტივობა - „ვმოძრაობთ რიტმულად" - მასწავლებელი რთავს მუსიკას და რიტმულად აკეთებს მოძრაობებს, ბავშვებს სთხოვს კარგად დააკვიდნენ და გაიმეორონ ზუსტი თანმიმდევრობით და რიტმის დაცვით მოძრაობები. მაგ: ქუსლი - წვერი, ფეხები მარჯვნივ, ფეხები მარცხნივ, მაღლა შეხტი და ა.შ.

ასევე მნიშვნელოვანია სავარჯიშოები ყურადღების განაწილების უნარზე, რასაც მოითხოვს რამდენიმე საქმის ერთად კეთება. მასწავლებელმა ბავშვს უნდა უთხრას წინადადება, თავიდან სასურველია იყოს მოკლე (2-3 სიტყვიანი) და თან დააკაკუნოს რამდენჯერმე. ბავშვი უნდა შეეცადონ გაიმეოროს წინადადება და თან დააკაკუნოს იმდენჯერ, რამდენჯერაც დააკაკუნა მასწავლებელმა. შეგვიძლია გავართულოთ და გავზარდოთ როგორც კაკუნით ისე, წინადადებაში სიტყვების რაოდენობა.

თითოეულმა ბავშვმა ბაღში ყოფნისას დროის უმეტესი ნაწილი თამაშში უნდა გაატაროს, რადგან ბავშვის წამყვანი ქცევა და ძირითადი საქმიანობა თამაშია, ის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვის ძირითადი ხერხია. თამაში დღის განრიგის ძირითადი კომპონენტი უნდა იყოს. ამიტომ მნიშვნელოვანია ყველა აქტივობა, რომელსაც ჩვენ დავგეგმავთ მეხსიერებისა და ყურადღების განვითარებისათვის, იყოს სახალისო, საინტერესო, მარტივ დავალებათა ერთობლიობა. შეირჩეს ბავშვებისთვის ისეთი ფორმატი, რომ პროცესი თამაშს ჰგავდეს და არა სწავლებას.

ყურადღების კონცენტრაციისთვის სახალისო აქტივობა - „ვის უახლოვდება ტალღა?".

აღმზრდელი ბავშვებს აჯენს წრეზე სკამებზე, თვითონ დგას შუაში და ასრულებს წამყვანის როლს. ბავშვები სვამენ კითხვას - ვის უახლოვდება ტალღა?" მასწავლებელმა უნდა დაასახელოს რამდენიმე ბავშვი ერთი ნიშნით, მაგ: ვისაც მწვანე თვალები აქვს, ვისაც ლუჯი ფერი ურევია ტანსაცმელში და ა.შ. ის ბავშვები წამოიშლებიან და ცდილობენ დაიკავონ სხვისი სკამი, თამაშში ერთვება მასწავლებელიც და ერთი ბავშვი რჩება სკამის გარეშე. ის დარჩენილი ბავშვი ხდება წამყვანი და გრძელდება თამაში. ზოგჯერ შეიძლება გავამძაფროთ და შტორმის მოახლოება გამოცხადდეს, რომლის დროსაც ყველა ბავშვი უნდა წამოიშალოს და დაიკავოს სხვისი სკამი, არ შეიძლება ისევ იმ სკამზე დაჯდომა რომელზეც უკვე იჯდა. თამაშის დასრულების შემდეგ მასწავლებელმა უნდა ესაუბროს ბავშვებს, მოუსმინოს მათ შთაბეჭდილებებს, ემოციებს, დაუსვას კითხვები: რა მოეწონათ, რა არა და ა.შ. ეს აქტივობა შეიძლება ოდნავ შეიცვალოს, რათა მისი ხშირი გამეორება ბავშვებისთვის მოსაწყენი არ იყოს. მაგალითად: თითოეულ ბავშვს მასწავლებელი მიანიჭებს რომელიმე ყვავილის ან ხილის სახელწოდებას. როცა მასწავლებელი დაიძახებს მაგ: ვაშლი, ის ბავშვები წარმოდგებიან, რომლებსაც მიენიჭათ ეს სახელი და ცდილობენ ერთმანეთის ადგილი დაიკავონ. ამ დროს მასწავლებელიც ცდილობს დაჯდეს ერთ-ერთი სკამზე. რომელი ბავშვიც დარჩება სკამის გარეშე, ის ხდება წამყვანი და გრძელდება თამაში. თუ

სახელწოდებებათ ხილს ავირჩევთ, მაშინ შეიძლება დაიძახოს წამყვანმა - ხილის სალათი, ყველა ბავშვი წამოიშლება და ცვლიან ადგილებს.

თამაში - „ცხელა-ცივა" - აღმზრდელ-პედაგოგი ერთ ბავშვს აუხვევს თვალებს, დანარჩენები რაიმე ნივთს გადამალავენ. შემდეგ მოხსნიან ბავშვს სახვევს და მან დამალული ნივთი უნდა იპოვოს. დანარჩენი ბავშვები ეხმარებიან, თუ უახლოვდება იმ ადგილს სადაც ნივთია დამალული, ბავშვები ყვირიან - ცხელა, ცხელა.. თუ შორდება - ცივა, ცივა და ასე გრძელდება, ვიდრე ნივთს არ იპოვის. მონაცვლეობით უხვევს მასწავლებელი ბავშვებს თვალებს და აგრძელებს თამაშს. ამავე აქტივობაში მრავალფეროვნებისათვის შეიძლება მუსიკა გამოიყენოს მასწავლებელმა და როცა ბავშვი მოუახლოვდება დამალულ ნივთს აუწევს მუსიკას, თუ დაშორდება დაუწევს. თამაშის დასრულების შემდეგ აუცილებლად უზიარებენ ერთმანეთს შთაბეჭდილებებს, რა მოეწონათ, რა გაუჭირდათ, რას გრძნობენ თამაშის დროს და ა.შ.

აქტივობა - „მოიფიქრე სიტყვა" აღმზრდელი დააყენებს ბავშვებს წრეში, რიგ-რიგობით გადაუგდებს ბურთს და ასახელებს ასოს, ვისაც გადაუგდებს ბურთს, მან უნდა მოიფიქროს და დაასახელოს სიტყვა, რომელიც იმ ასოზე იწყება, ვინც სიტყვას ვერ მოიფიქრებს, გადის წრიდან.

აქტივობა - „დაასახელე საგანი" - მასწავლებელი ესვრის ბავშვს ბურთს და დაასახელებს რომელიმე კრებით სიტყვას მაგ: ხილი, ბავშვმა უნდა თქვას რომელიმე ხილის სახეობა (მაგ.: ვაშლი, მსხალი...) ყველა მომდევნო ბავშვმა უნდა დაასახელოს განსხვავებული ხილი და არა ის, რომელიც უკვე თქვეს წინა მონაწილეებმა. ვინც ვერ დაასახელებს ვარდება თამაშიდან და ასე გრძელდება ვიდრე გამარჯვებული არ გამოვლინდება.

აქტივობა - „იპოვეთ გეომეტრიული ფიგურა" - მასწავლებელი ხალიჩაზე მიმოფანტავს სხვადასხვა ფერის და ზომის გეომეტრიულ ფიგურებს (სამკუთხედი, ოთხკუთხედი, წრე და ა.შ.) ბავშვებს მიმართავს - მოძებნეთ ყვითელი დიდი ოთხკუთხედი, ლურჯი დიდი წრე, მწვანე პატარა სამკუთხედი და ა.შ. ვინც პირველი მოძებნით სწორედ ფიგურას გამარჯვებულია.

პერიოდულად მასწავლებელმა უნდა ესაუბროს ბავშვებს და თხოვოს გაიხსენონ ის თამაშები და აქტივობები, რომლებსაც ბაღის (სკოლის) სივრცეში ასრულებენ. დაასახელებინოს, რომელი მოეწონათ ყველაზე მეტად და სურთ კიდევ გაიმეორონ. რომელსაც უმრავლესობა აირჩევს, მასწავლებელი ათამაშებს ისევ. ასე სხვა დღეებშიც უნდა გაიმეოროს, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ბავშვების განვითარებისათვის, ხელს უწყობს მეხსიერების და ყურადღების გავარჯიშებას.

აქტივობები და თამაშები, რომლებიც შემოგთავაზეთ, გათვლილია სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებზე. ზოგი ნებისმიერი ასაკისა ბავშვებისათვისაა განკუთვნილი, ზოგი მხოლოდ სასკოლო მზაობისა და ადრეული სასკოლო ასაკის ბავშვებისთვისაა. მნიშვნელოვანია აღმზრდელმა და მასწავლებელმა ასაკის გათვალისწინებით სწორად შეარჩიოს აქტივობები და დაგეგმოს სასწავლო პროცესი. საჭიროებიდან გამომდინარე გაამარტივოს ან გაართულოს რომელიმე თამაში, მოარგოს თავისი აღსაზრდელებისა თუ მოსწავლეების ასაკობრივ ჯგუფს და შესაძლებლობებს.

ამრიგად, მეხსიერების გავარჯიშება და ყურადღების კონცენტრაციის უნარის გაუმჯობესებაზე ზრუნვა მცირე ასაკის ბავშვებში იმდენად მნიშვნელოვანია, რამდენადაც კარგი მეხსიერება და მობილიზებული ყურადღება წარმატებისა და სრულფასოვანი

ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. ამ პროცესების სწორად წარმართვა კი მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული აღმზრდელსა და მასწავლებელზე. მათ მიერ სწორად შერჩეული აქტივობები, ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით დაგეგმილი სასწავლო პროცესი წინაპირობაა ბავშვის სრულფასოვან და წარმატებულ პიროვნებად ჩამოყალიბების.

ლიტერატურა:

1. ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში ნაწილი I, ავტორთა ჯგუფი, თბილისი 2020 წ.
2. ადრეული განათლების კურიკულუმი. თამაში ნაწილი II, ავტ. ჯგუფი, თბილისი. 2020ц.
3. ადრეულ ასაკში სწავლებისა და განვითარების სტანდარტები - ავტორთა ჯგუფი, 2010 წ.
4. ადრეული და სკოლამდელი განათლების ხარისხის სტანდარტის გზამკვლელი, unicef, 2019
5. ადრეული განვითარება და განათლება საქართველოში, ავტორთა ჯგუფი, 2020 წ.
6. ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტები, გაეროს ბავშვთა ფონდი და განათლების და მეცნიერების სამინისტრო, 2018.
7. თემატური მიმართულებები ადრეული განათლების დაწესებულებებში, თბილისი. 2019.
8. სკოლამდელი განათლების პროგრამა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი, 2011.

Nino Khantadze
Akaki Tsereteli State University
Kutaisi, Georgia
Nino.khantadze@atsu.edu.ge

https://doi.org/10.52340/lac.2025.10.67

Activities for training memory and concentration of attention for preschool and younger school-age

Abstract

Preschool and younger school age are the most important periods of a child's development. Children learn about the world at this age, find themselves, and develop various skills. Ninety percent of the brain is activated during this period, so it is necessary to diversify the learning process with activities that build attention, memory, thinking, and the interaction of the brain hemispheres.

Along with many other tasks, an educator or a teacher must care for the training of children's memory and developing the ability to concentrate, because a good memory will make a child more confident and independent.

The most effective way to improve memory is cognition. Also, a proven method is to do mental exercises that require thinking and concentration of attention, without which it will be impossible to fully perform any activity. Accordingly, all the activities that we plan to improve children's memory require attention and at the same time develop and promote concentration of attention.

To achieve small goals, a child needs working memory in everyday life, and routine plays a big role in improving it.

Listening and discussing what you have heard are the best ways to train memory and concentrate attention. It is important to choose interesting, small, simple, and age-appropriate fairy tales, stories, fables... Tongue twisters, proverbs, and riddles are also good.

Activities that require hands to work together are effective for developing attention and memory. Exercises on the ability to distribute attention, which require doing several things at once, are also important.

The leading behavior and main activity of children is playing, therefore, for the development of memory and attention, a set of simple tasks should be selected that will be fun and interesting for them. This process should resemble a game, not teaching.

Thus, training memory and improving the skill of concentrating attention in young children are very important, since good memory and mobilized attention are an integral part of success and a full life. The correct conduct of these processes depends on the educator and the teacher, the activities correctly selected by them, and the educational process planned considering age characteristics is a prerequisite for the child's development as a full-fledged and successful person.